ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

1990
შაბათი
13
ოქტომბერი
№123 (10360)
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 8 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის გამო.

2. ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილემ ვ. ა. ივაშკომ.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ს. ძასოხოვის ინფორმაცია პარტიის 28-ე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ო. ს. შენინის ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიებისა და აპარატის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან სკკპ ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან წარგზავნილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, მეცნიერები, პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, ზოგიერთი უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კამათში გამოვიდნენ:

ს. ა. კალინინი—რიბინსკის მოტორსაშენებელი საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანი, იაროსლავლის ოლქი, ი. ი. მელნიკოვი—მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი, ს. ი. გურენკო—უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. პ. გუსელეტოვი—სვერდლოვსკის საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ი. ა. პროკოფიევი—პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ს. კამაი—ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ვ. ს. ლიპიცკი—სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არსებული დემოკრატიული პლატფორმის რეფორმატორ კომუნისტთა სექციის ორგბიუროს წევრი, ლ. პ. კრავჩენკო—ტასს-ის გენერალური დირექტორი, ი. კ. პოლოზკოვი—რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ა. ჩარტაევი—ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დაღესტნის ასსრ, რ. ა. მედვედევი—მწერალი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრი, უ. ყარამანოვი—ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბ. ვ. გიდასპოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. კ. მორკუნასი—კოლმეურნეობა „ტვერიაჩუსის“ ტრაქტორისტი, ლიტვის სსრ, რ. მ. ხუდაიბერგენოვა—უზბეკეთის კომპარტიის ხორეზმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. დიომინი—ივანოვოს პ. ს. ბატურინის სახელობის ქიმიური ქარხნის მეაპარატე, მ. თ. ნენაშევი—სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. დ. კალაჩნიკოვი—პარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რ. ი. სავინა—ჩერნიგოვის საწარმოო-სავაჭრო სამკერვალო გაერთიანების მრთველი, უკრაინის სსრ, ა. ნ. მალცევი—გორკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი, ა. მ. მასალიევი—ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ვ. პოტაპოვი—პარტიის ბურიატეთის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. ბამბაევი—პარტიის ყალმუხეთის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი, ა. ა. გუსევი—ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ესტონეთის კომპარტიის საზღვაო რაიკომის პირველი მდივანი, ქ. ტალინი.

შეიქმნა პლენუმის დადგენილების მოსამზადებელი სარედაქციო კომისია.

★

1990 წლის 9 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კვლავ განიხილავდნენ ქვეყნის მდგომარეობის საკითხს და საბაზრო ურთიერთობაზე ეკონომიკის გადაყვანასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანებს.

კამათში მონაწილეობდნენ: ვ. ტ. ჩუიკოვი—პოლტავის რაიონული საგზაო სარემონტო-სამშენებლო უბნის კალატოზი, უკრაინის სსრ, ა. ა. პრიგარინი—სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის ორგანიზაციის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, ს. ა. ოსმინინი—პარტიის კიროვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხ. ა. ახმედოვი—თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ვ. კოლპაკოვი—სსრ კავშირის მეტალურგიის მინისტრი, ა. ვ. ბუზგალინი—მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, ე.-ა. ა. სილარი—ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ი. მკრტუმიანი—ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ა. ა. პომოროვი—პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ხაევი—ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიისაგან გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ს. ძასოხოვი.

შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების ყოველმხრივი განხილვის, გამართული მსჯელობის შემდეგ მიიღეს დადგენილება ამ საკითხზე.

პლენუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიების შესახებ“ და „სკკპ ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების შესახებ“.

დასასრულ პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

---

### ახალი წიგნები

## „ღირსად მყავ შენი გამოცხადების“

ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავზე ქართველმა მკითხველმა მიიღო ლექსების კრებული, რომლის შემდგენელ—რედაქტორია ზვიად გამსახურდია.

მერაბ კოსტავას ლექსების კრებული გამოსცა „მერანმა“ ავტორის ხარჯით, ხოლო სპონსორია კოოპერატიული ფირმა „ნუგეში“.

წიგნს დართული აქვს ოლღა ლემერიე—კოსტავას მოგონებებიდან ნაწყვეტი.

მკითხველებს ვთავაზობთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან:

შენ მიანიჭე ნათელი იმ მზეს,
რადგან გნადია, ჩვენც გაგიმზევდეთ,
რომ იმავ თვალით, რომლითაც გვიმზერ,
შენვე გხედავდეთ, შენვე გიმზერდეთ.

მაშ რაღას ვაქნევ წელთა სიბერეს,
რაღას დამაკლებს ჟამთა დინება.
თუკი მეოხად ხმა შენმიერი
და შენი მადლი მომეფინება.

სული მარტვილი ალვაპყარ შენდა,
ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად,
გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ,
დაფარულთათვის მიმაგეს ცხადად,

და დაფარული თუ გაცხადდების,
იმ პირველ სიტყვის მადლით მთოვარო,
ღირსად მყავ შენი გამოცხადების,
დამბადებელო და მაცხოვარო,

---

1990 წლის 18 ოქტომბერს 15 საათზე სასახლის კარის ეკლესიაში აღვლენილ იქნება პანაშვიდი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სულის საოხად.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

---

15 ოქტომბერს 17 საათზე ქ. ზუგდიდში თავისუფლების მოედანზე ჩატარდება წინასაარჩევნო მიტინგი. ამომრჩევლებს შეხვდება „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი ბატონი ზვიად გამსახურდია და მრგვალ მაგიდაში შემავალი პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ზუგდიდის მრგვალ მაგიდაში შემავალი
პოლიტიკური ორგანიზაციები.

---

ზუგდიდის № 91 რუსთაველის საოლქო საარჩევნო კომისია ამავე წლის 18 ოქტომბერს 16 საათზე საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ კულტურის სახლში აწყობს შეხვედრას საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დეპუტატობის კანდიდატებთან.

დეპუტატობის კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საოლქო საარჩევნო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღია წერილი ბ-ნ გურამ გუნავას

## საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მძიმე, კრიზისული ვითარება შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში. ცხადია, ჩვენს ქალაქსაც დაუგროვდა უამრავი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა საშური საქმეა. მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე კულტურას ყოველთვის მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ყურადღების ის ნამცეცები, რასაც ხელისუფლება ხანდახან გაიღებდა, ოდნავადაც არ იყო საკმარისი. ამიტომაა, რომ ჩვენს ქალაქში ღრმა კრიზისს განიცდის კულტურის დაწესებულებები, უგულებელყოფილია სულიერი ღირებულებები. იღუპება თეატრი, ბიბლიოთეკები მძიმე ვითარებაში სულს ლაფავენ, მხატვრებს არა აქვთ შესაფერისი ხელი და პირობები, ვერ გადაწყდა მწერალთა ორგანიზაციის სასიცოცხლო პრობლემები და მრავალი სხვა.

მოგიწოდებთ, რომ განახორციელოთ რადიკალური ღონისძიებები, რათა ქალაქმა და მთელმა რეგიონმა იგრძნოს, რომ ხელისუფლება ანგარიშს უწევს ერის სასიცოცხლო ინტერესებს, მას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ვიწრო პარტიული ინტერესებია. ასეთ მამულიშვილურ, ჭეშმარიტად გმირულ ქმედებად ზუგდიდელები აღიქვამდნენ, თუ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა განახორციელებდა უპრეცედენტო ღონისძიებას—ქალაქს „კულტურის ცენტრისათვის" გადასცემდა თავისუფლების მოედანზე არსებულ შენობას, რომელშიც დღეს ქალაქის პარტიული თავკაცების ოფისია. ეს არქიტექტურულადაც გამორჩეული შენობა საკმარისია, რომ ქალაქს ჰქონდეს შესაფერისი საჯარო ბიბლიოთეკა, სამხატვრო სკოლა და საგამოფენო დარბაზები, ქორეოგრაფიული სასწავლებლები, სამუსიკო სკოლა, საკონცერტო და კინო-ვიდეო დარბაზი, კულტურის სხვა დაწესებულებები, რომელთა მიზანია ზუგდიდელთა შემოქმედებითი თაობების სწორი აღზრდა და სულიერი გაკეთილშობილება.

დროა, პრესტიჟული კაბინეტები ვანაცვალოთ ქალაქის ინტერესებს. ქალაქის ცხოვრებაში სულიერი ღირებულებების წინ წამოწევა ზუგდიდელებს წარმოაჩენს ისეთ ადამიანებად, ვისთვისაც სულიერი უფრო მაღლა დგას ყოველდღიურ, უტილიტარულ ვნებებზე.

კარგად გვესმის, რომ მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას თან ახლავს უამრავი ფინანსური, პოლიტიკური და სხვა წინააღმდეგობები, მაგრამ ეს ისეთი ქმედებაა, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქალაქის ისტორიაში.

ჯემალ ქირია,

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი,

ზაურ კალანდია,

ალმანახ „ენგურის" რედაქტორი.

# სამარადისოდ მთამომავალია ხსოვნაში

დიდი ხალხმრავლობა იყო 8 ოქტომბერს მარტვილში. ერმა ჭეშმარიტი სიყვარული მიაგო ქვეყნისთვის უანგაროდ დამაშვრალ ერისკაცს გიორგი ჭყონდიდელს. სრულიად საქართველომ გადაიხადა საქართველოს ვაზირთუპირველესის —ჭყონდიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის 900 წლისთავი.

ზეიმის წინა დღით, გელათს, სადაც დაკრძალულია დიდი მამულიშვილი, ეწვივნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი. მათ ცოცხალი ყვავილებით შეამკეს დავით აღ-მაშენებლის საფლავი და ...ლი მთავარ ტაძარში, ...ამ ცხრა საუკუნის წინ ქარ... მეფეთა საძვალეში პატივით... ღირსებით მიწას მიაბარეს ჭყო...დიდელის წმინდა ნეშტი.

შემდეგ ზეიმმა მარტვილ... გადაინაცვლა. თითქმის მთელ... საქართველო შეიკრიბა აქ. ... მინდესმა და უნეტარესმა სრულ... იად საქართველოს კათოლიკო... პატრიარქმა ილია მეორემ ცენ... რალურ ტაძარში გამართა წი... რვა, გადაიხადა პარაკლისი.

შემდეგ ზეიმი გაგრძელდა ს... ლხინოში, დადიანების სასახ... ლო სასახლეში.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მშრომელთა დასვენებისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა —დასვენების დღე კვირა, 1990 წლის 11 ნოემბერი გადმოტანილ იქნეს პარასკევზე, 9 ნოემბერზე.

ამავე დადგენილებით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნება ეძლევათ პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით იმუშაონ 10 ნოემბერს. 10 ნოემბრის მუშაობა შეიძლება ანაზღაურდეს, მხარეთა შეთანხმებით, სხვა დასვენების დღის მიცემით ან ფულადი ფორმით ორმაგად, მუშაკის სურვილისამებრ ეს დღე შეიძლება დაემატოს ყოველწლიურ შვებულებას და ანაზღაურდეს იმავე წესით, როგორც ნაზღაურდება შვებულების დღეები.

### ყოველდღიური შრომის ფაქტი

# იგი ნამდვილი პროფესიონალია

სარემონტო - მექანიკურ კომბინატში თავისი საქმის სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით ილვწის წრიული კონსტრუქციების საამქროს უფროსი თორნიკე ლომაია. იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ამ საწარმოში. რიგით კონსტრუქტორად მუშაობის წლები, გამოცდილების შეძენა, კოლექტივთან დაახლოება. ახალბედა სპეციალისტი გამოცდილი მუშაკის კარლო მალანიას გვერდით ღრმად დაეუფლა ჩაის სისტემისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგიას.

სულ მალე, მისივე მონდომებით კომბინატში გაჩნდა ახალი — წრიული კონსტრუქციების ნაკეთობათა საამქრო, რომელსაც აქ მეტად პერსპექტიულად მიიჩნევენ. რაც მთავარია, ამ ახალმა წარმოებამ უკვე ყველაზე კარგ ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიაღწია.

ახალგაზრდა სპეციალისტი ლიდერის საშურ თვისებებს ავლენს. კოლექტივიც მხარში უდგას მას დავალებების წარმატებით შესრულების საქმეში.

ჯ. თელია.

# დამთავრდა შეკეთება

ყოველ წელიწადს ხდება ენგურქაღალდკომბინატის დიდი გეგმიური გაჩერება, რომლის დროსაც მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების კაპიტალური შეკეთება.

მთავარი მექანიკოსისა და მისი განყოფილების მიერ დგება გრაფიკი საამქროთა მიხედვით, თუ სად, როგორი სამუშაოები უნდა შესრულდეს, თანდათან ჩაერთვება ის სამსახური, რომელიც საჭირო გახდება. ამასთანავე კიევიდან მოწვეულ იქნა მემონტაჟეთა სპეციალური ბრიგადა, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმითა და ხარისხით შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა.

ამ ძირითადი სამუშაოების შესრულებით მორჩა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები და კომბინატი ეტაპობრივად, სტაბილურად ამუშავდა.

მთელი დაძაბვით და მონდომებით იმუშავეს მექანიკური საამქროს კოლექტივის წევრებმა,— ამბობს კომბინატის მთავარი მექანიკოსი მარლენ ფარცვანია, — განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შემკეთებელთა ბრიგადა გენო ქირიას მეთაურობით, რომლებიც ოპერატიულად ართმევდნენ თავს შესაკეთებელ სამუშაოებს. აღსანიშნავია აგრეთვე, მომარაგების განყოფილების მუშაკთა შრომა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა დროულად მიეწოდებინათ საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები. შესაკეთებელ სამუშაოებში დიდი მონაწილეობა მიიღეს მიმდინარე შეკეთებისა და კაპშეკეთების, საამქროს მუშებმა (უფროსი რ. ემუხვარი და მ. თოდუა).

ლ. გელოვანი.

### პროფკავშირი: სოციალური გარანტიების წახნაგები

# გავითვალისწინოთ მშრომელთა ინტერესები

პროფესიული კავშირების როლი და ფუნქციები ეკონომიკური რეფორმების კვალობაზე დიდი თიდლე იზრდება. ახალი სამეურნეო ურთიერთობები და მართვის სფეროში მიმდინარე სხვა სტრუქტურული ცვლილებები სოციალურ პოლიტიკაში რადიკალურ თვისობრივ განახლებას ითხოვს. თავისუფლდება რა სხვადასხვა სახის დიქტატისაგან პროფესიული კავშირების წინაშე იხსნება თავისუფალი, დამოუკიდებელი მოქმედების ნაირგვარი გზები, იმდაგვარი საქმიანობის შესაძლებლობა, როცა კოლექტივის ლოკალური პრობლემების გადაწყვეტას რაიმე კონიუნქტურული არტახები არ ზღუდავს. ამ მხრივ სხვაზე მეტი საზრუნავი და მათი გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებით ოპერირების საშუალება გააჩნიათ საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის წარმომადგენლებს. ამ მხრივ გაწეულ მუშაობაზე და მომავლის პერსპექტივებზე გვესაუბრა ადგილმრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ლ. შენგელია.

—სოციალური არასტაბილურობის ვითარებაში სერვისის შედარებით გამართულ ფუნქციონირებას შეუძლია მეტნაკლებად გააწონასწოროს მოსახლეობის განწყობის ფაქტორი. ახერხებთ თუ არა ამას?

—ათასნაირი დეფიციტისა და პრობლემების პირობებში, რა თქმა უნდა, ჩვენი სამსახური ვერ გამოჩნდება უწყინარ ოაზისად. პირიქით. სხვაზე მეტად თუ არა, ნაკლებად როდი გვიჭირს. მეუხერხულება კიდეც, რომ მოწუწუნე კაცის პოზიციიდან მიწევს საუბარი, მაგრამ ჩვენსა და მომხმარებლებს შორის თავჩენილ სიძნელეებზე მოკლედ მაინც უნდა ითქვას. ვერა და ვერ დაედგა თავი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეულად განმტკიცების საქმეს. ასევე სრულყოფას ითხოვს მომსახურების ობიექტების დისლოცირების საკითხი. ტრადიციულად თავს გვახსენებს მომსახურების კულტურის დეფიციტი, რაზედაც ყველაზე მტკივნეულად რეაგირებს მომხმარებელი. მართალია, მომსახურების ყველა სახე გადასულია სახელშეკრულებო ფორმაზე, მაგრამ სიახლეთა აპრობაციის პროცესს ნაკლოვანებები ახლავს. კერძოდ, თვითნებობის ფაქტებს ვხვდებით ფასების დარეგულირების საქმეში.

—ახლა, როცა ჩვენი ეკონომიკის გადაყვანა ხდება საბაზრო ეკონომიკაზე, უკიდურესი სიფრთხილით შეგვახსენებს თავს მშრომელთა სოციალური დაცულობის პრობლემა. რა ზომებს მიმართავით საიმისოდ, რომ მოსალოდნელი დაუსაქმებლობის პირობებში შედარებით ნაკლები სირთულეები შეგვექმნათ?

—სირთულეებისაგან თავს ვერავინ დაიხსნის. უამრავი პრობლემა დადგება ჩვენს წინაშეც. მოგეხსენებათ საზოგადოების შრომის კომიტეტის მიერ შემუშავებული და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე წარდგენილი პროექტი საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ჟამს სოციალური დაცულობის კონცეფციის თაობაზე, ითვალისწინებს ჩვენი დარგის მუშაკებისათვის შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას. შემუშავდება ნორმატივები, რომლის მიხედვით დარეგულირდება მუშა-მოსამსახურეებისათვის გარკვეული კომპენსაციის და სხვა სოციალური გარანტიების მიცემის საკითხი. ამ მხრივ ჩვენც ვდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ მეტად მწირი რესურსები გაგვაჩნია. ვფიქრობთ შევინარჩუნოთ მუშაკთა ხელფასის გარანტირებული მინიმუმი, გამოვნახოთ წყაროები თითოეული ხელოსნის დატვირთვის კოეფიციენტის ამაღლებისათვის. ვცდილობთ დანიშნულების მიხედვით, ეფექტურად მოვიხმაროთ საწარმოებთან არსებული სოციალური განვითარების ფონდი. გვეძლევა საშუალება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ცუდი ეკონომიკური პირობების მქონე მუშაკებს გავუწიოთ სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები. მიმდინარე წელს სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დასვენება - მკურნალობისათვის საგზურები გავეცით 88 პირს. ჩვენი აქტიური მოთხოვნით და მხარდაჭერით შრომის პირობები გაუმჯობესდა მომსახურების სახლის საპარიკმახეროებში.

—როგორც ცნობილია, თქვენი საქმიანობის ძირითად საზომად მიჩნეულია ის, თუ როგორია მომსახურების სახეობათა სპექტრი. ახერხებთ თუ არა იმ ფორმების დანერგვას, რომელსაც სხვაზე მეტად საჭიროებენ ზუგდიდელი მოქალაქეები?

ამ ბოლო ხანებში სისტემაში დაინერგა მომსახურების სხვადასხვა ფორმა. მოქალაქეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ქიმწმენდის, რეცხვის, ღებვის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდკერვისა და შეკეთების, ფოტო და საპარიკმახერო მომსახურების ობიექტებით. უახლოეს ხანებში გათვალისწინებულია დაინერგოს ხელოვნური ფილების დამზადების ტექნოლოგია, საოქრო ხერხის კბილანების წარმოება, დასახულია ღონისძიებები შინ მომსახურების ხელსაყრელი ფორმების დანერგვისათვის, რაც ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეცხოველეობა

## არ უნდა განმეორდეს

წინა გამოზამთრების გვიან პერიოდში რაიონში ექსტრემალური პირობების, საკვების დეფიციტისა და ზოგან სუბიექტური მიზეზების შედეგად პირუტყვის გამოზამთრება არახელსაყრელ პირობებში ჩატარდა.

გამოზამთრების მიმდინარე სეზონში არ უნდა განმეორდეს მსგავსი ფაქტები. შეიმჩნევა, რომ ზოგან სათანადოდ არ იყენებენ რეზერვებს, არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს თივის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავებისათვის, აგვიანებენ სანაწვერალო და შუალედური კულტურების თესვას, აკლებენ წვნიანი საკვების გათვალისწინებულ ნორმებს. დღეისათვის ერთ პირობით სულზე ნაცვლად 16,5 ცენტნერისა, დამზადებულია საგრძნობლად ნაკლები.

ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ პირუტყვის სადგომებისა და ტექნოლოგიური დანადგარების, მექანიზმების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება. მისასვლელი გზების, ტერიტორიის კეთილმოწყობა, შენობების დეზინფექცია და სხვა.

დღეს, კოლმეურნეობათა გამგეობების ნომერ პირველი ამოცანაა უმოკლეს ვადაში განიხილონ მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობის, პირუტყვის გამოზამთრებისთვის მზადების საკითხები, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მეცხოველეობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად, საკვების დამზადების ტემპის გასაძლიერებლად, ბინების მშენებლობისა და შეკეთების დასაჩქარებლად, მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარებისა და მექანიზმების დასამონტაჟებლად და გასამართავად, საკვებშემამზადებელი საამქროებისა და ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საჭირო და აუცილებელია მეცხოველეობაში დასაქმებულ ყველა მუშაკს შეუქმნან შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, დანერგონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები, გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების სტიმულირების მეთოდები. უნდა დაჩქარდეს ფერმების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება.

რაიონის ყველა ფერმაში დაიცვან ზოოჰიგიენური და ვეტერინალურ-სანიტარული წესები.

როგორც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებიდან გვაცნობეს, გამოზამთრებისათვის ზრუნვას საჭირო ყურადღება უნდა დაუთმონ ყულიშკარის, ოქტომბრის, რიყის, შამგონის, ურთის, ჭითაწყარის კოლმეურნეობებმა, განმუხურის, ონარიისა და ხეცერის მეურნეობებმა.

მიუხედავად სადღეისო საზრუნავს, ზამთარი მკაცრად გამოგვცდის.

## კანონი აფრთხილებს

ყოველი ცი... ... ...ლიწიფოა ბიუჯეტი ძირითადად ავსდება მთავრობის მიერ დადგენილი გადასახადებისაგან. 1990 წლის 28 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“, რომელიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1990 წლის 1 ივლისიდან. ამ კანონის დემოკრატიულობას და ცხოველმყოფელობას შეამოწმებს ცხოვრების პრაქტიკა.

ამ კანონის ცხოვრებაში გატარებამ საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი. როგორც ჩანს, ბევრი რამ დამოკიდებულია კადრების კომპეტენტურ, პრინციპულ და სამართლიან მუშაობაზე. ახალი კანონები უნდა შეისწავლოს ყველამ, როგორც ხელმძღვანელმა, ისე რიგითმა მუშაკმა.

აღნიშნულ ინსპექციებს უფლება აქვთ: შეამოწმონ სამინისტროებსა და უწყებებში, სახელმწიფო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე საკუთრების სხვა ფორმებზე დაფუძნებულ საწარმოებში, მათ შორის ერთობლივ საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში საბჭოთა და უცხოელ იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობით, უცხოელ მოქალაქეებთან და მოქალაქეობის არ მქონე პირებთან ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო დავთრები, ანგარიშები, გეგმები, ხარჯთაღრიცხვები, დეკლარაციები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების გამოანგარიშებასთან და ბიუჯეტში გადახდასთან.

შემოწმების შედეგად თუ დადასტურდება, რომ ორგანიზაციამ ან მოქალაქემ, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ საქმიანობას, გადამალა დასაბეგრი შემოსავალი ან შეამცირა, ის, ზემოთაღნიშნული კანონის 1-მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად, ინსპექციის მუშაკის აქტის მიხედვით გადახდება ეს შემოსავალი დამრღვევს მთლიანად და აგრეთვე დაჯარიმდება იმავე თანხის ოდენობით.

მაგალითად: თუ დამრღვევს გადამალული ან შემცირებული ჰქონდა ათასი მანეთის შემოსავალი, მას გადახდება ბიუჯეტში შესატანად ათასი მანეთი და აგრეთვე ჯარიმა ათასი მანეთი. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, გადახდება ჯარიმა ორმაგად. ე. ი. გადახდება დამალული ან შემცირებული შემოსავალი, ამ შემთხვევაში ათასი მანეთი და ჯარიმა ორმაგად, ორი ათასი მანეთი, სულ სამი ათასი მანეთი.

აგრეთვე კანონში მითითებულია, რომ შემოსავლის აღრიცხვის უქონლობის ან დადგენილი წესით აღრიცხვის დარღვევისას, ხელმძღვანელთან ან დამრღვევთან ერთობლივად განისაზღვრება დასაბეგრი თანხა და გადასახადი, რის შემდეგ დამრღვევს გადახდება არა მარტო გადასახადის თანხა, არამედ დამატებით ფინანსური სანქციის სახით 10 პროცენტი ამ თანხისა.

დარღვევებზე ზემოთაღნიშნული თანხები გადახდილი უნდა იქნეს 5 დღეში დარღვევის გამოვლინების მომენტიდან, რომ საურავის დარიცხვით კვლავ არ გადიდდეს შესატანი თანხა. ურჩობას შეიძლება მოყვეს იძულებითი ღონისძიებები, ქონებაზე ყადაღის დადება, სასამართლო განხილვა, დაყადაღებული ქონების რეალიზაცია და სხვა ზედმეტი ხარჯები. ამიტომ საჭიროა ყველამ დაიცვას კანონის ზუსტი მოთხოვნა.

როცა კოოპერატივი არაერთგზის და უხეშად დაარღვევს კანონმდებლობას და საფინანსო დისციპლინას, დაისმება საკითხი მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას და სისტემატურად არღვევენ კანონის მოთხოვნას, ჩამოერთმევათ პატენტები და სარეგისტრაციო მოწმობები.

კანონში მითითებულია: „ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კოოპერატივის შემოსავალს, მის წევრთა და მასში შრომით ხელშეკრულებით მომუშავე პირთა პირად შემოსავალს, არის დეკლარაცია“ შემოსავლის შესახებ.

კოოპერატივს ეკისრება პასუხისმგებლობა დეკლარაციის შევსების წესის მკაცრად დაცვისა და მასში კოოპერატივის შემოსავლისა და გასავლის შესახებ ცნობების სიზუსტისათვის. დეკლარაციაში მოცემული ცნობების დამახინჯებისათვის ხელმძღვანელებს ეკისრებათ ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ყოველივე ამის გამო კანონი სამართლიანად აფრთხილებს მოქალაქეებს: არის ერთადერთი სწორი გზა—კანონის განუხრელად ცხოვრებაში გატარების გზა.

**შ. სარია,**
ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი ინსპექტორ-იურისკონსულტი.

## მიურატები სამეგრელოში

წინა წერილში ჩვენ მკითხველს დავპირდით, რომ შევეხებოდით მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებს მიურატების მეურნეობამამულებში. ამჯერად მკითხველს გავაცნობთ იმ მასალებს, რომელსაც არქივში მივაკვლიეთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულყოფილი არ არის.

მიურატები დროებით ვალდებული გლეხების სანადელო მიწებიდან გადასახადებს იღებდნენ არა მარტო ფულადი საზღაურით, სიმინდით და სხვა პროდუქტებით, არამედ ვენახის შემოსავლიდან მიღებული ღვინოებითაც, როგორც ვიცით, გადასახდელები ფორმდებოდა უმთავრესად ხელშეკრულებით საიჯარო ფურცლებზე, აგრეთვე პირდაპირი გაწერებით. ასე ხდებოდა მანამ, ვიდრე გლეხი არ ამოისყიდიდა მიწებს, რომელიც სამეგრელოში საგლეხო რეფორმის 1866 წლის დეკემბრის დებულებით ხდებოდა.

ეს ერთი წყარო იყო მიურატების ღვინის შემოსავლებისა. მეორე და უმთავრესი წყარო ღვინის შემოსავლისა მომდინარეობდა მევენახეობის მეურნეობებიდან, რომელიც თვითონ მიურატებს ჰქონდათ სალხინოსა და ჭკადუაშში. ამ მეურნეობებში დაქირავებული მუშახელით აკეთებდნენ ყველაფერს. ვენახის მეურნეობებში იმ დროის მოწინავე ტექნიკას იყენებდნენ და ღვინის სახდელი აგრეგატებიც საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ყურძნის საწურ-საწნეხ მოწყობილობათა და ღვინის სათავსი მარნის ნარჩენები ახლაცაა ჭკადუაში, ხოლო მარანი—სალხინოში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს რომ ადგენდა სალომე დადიან-მიურატის ვექილი ალექსი ნიკოლოზის ძე ბერიძე, მას ამ ანგარიშებში ღვინის შემოსავალიც შეჰქონდა. როგორც საბუთებიდან ირკვევა, მიურატები წლიურად მარტო სალიპარტიანოს მამულებიდან ზოგჯერ 800 კოკაზე მეტ ღვინოს იღებდნენ (განმარტავენ, რომ კოკა იტევს 24 ლიტრ ღვინოს), რაც 7 ათას ლიტრაზე მეტს შეადგენს (იხ. დოკუმენტები № 3333, 3334, 3336), მაგრამ ჩვენ არ ვიცით სხვა ადგილებიდან და თვით მიურატების მეურნეობებიდან ღვინო რამდენი შემოდიოდა.

ღვინის შემოსავალი, რომ გაცილებით მეტი იყო, ამას შემდეგი მონაცემები გვიდასტურებს. 1908—წლის 24 ოქტომბრიდან 1909 წლის იანვრამდე სარეალიზაციო პუნქტს ჩაბარდა მარტო სალხინოდან (ჭკადუაშის გამოკლებით) 4680 ლიტრი ღვინო, 1909 წლის იანვრის თვეში—9015, თებერვალში—1880 მარტში—4335, აპრილში—4375, სულ 6 თვეში ჩაუბარებიათ 24.505 ლიტრი ღვინო (იხ. დოკ. № 8506.) სხვა ცნობა ჯერჯერობით არა გვაქვს მიკვლეული, კერძოდ არ ვიცით რა რჩებოდა კიდევ ღვინის მარნებში 1908 წლის შემოსავლებიდან (არაოფიციალური ცნობით ჭკადუაშის მეურნეობაში 1300-1500 ფუთ ღვინოს ამზადებდნენ წლიურად).

### წერილი მეოთხე

აღნიშნულ საბუთში დასახელებულია დამზადებული ღვინოები მათი ფასებით. ფუთი ოჯალეში ღირებულა —3. მან. და 70 კაპ. კაბერნე—3. მან. და 20. კაპ; ფორტუგე—2 მან. შავა—1 მან. და 80 კაპ; დვირიფი—1 მან და 30 კაპ. ამათ გარდა ყურძნის სხვა ადგილობრივი ჯიშებიც ყოფილა გავრცელებული.

კაბერნეს და ფორტუგეს ჯიშის ვაზები აშილ მიურატს ჩამოჰქონდა საფრანგეთიდან. აშილ და სალომეს მიერ ყოფილა აგრეთვე შემოტანილი საუკეთესო ჯიში მალვაზი, რომელიც დღეს სოფ. ჭკადუაშის მცხოვრებ ქალბატონ ლოლა ქირია—ჭითანავას ოჯახში ხარობს.

მიურატების საექსპორტო ღვინოებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოჯალეში. ეს ღვინო პარიზშიც იგზავნებოდა, რასაც მოწმობს ბოთლის ეტიკეტი (ფრანგული ტექსტით). მიურატები, რომ მაღალხარისხოვან ღვინოს ამზადებდნენ ამას სხვა ფაქტიც ადასტურებს. ისინი სისტემატურად იყვნენ მიწვეულნი რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში სოფლის მეურნეობის ნაწარმთა საერთაშორისო გამოფენაზე (იხ. დოკ. № 3783).

დოკუმენტურად ჯერჯერობით ვერ ვიტყვით ჭკადუაშსა და სალხინოში მიურატებს რა ფართობზე ჰქონდათ ვენახი გაშენებული, ან რომელი ჯიშის ვაზს რამდენი ეკავა. ამბობენ აშილ მიურატის სიცოცხლეში (მას ახასიათებენ როგორც უაღრესად გულკეთილს და შრომისმოყვარეს) ჭკადუაშის მეურნეობაში ვენახის ფართობი 40 ქცევამდე აღწევდა (ქცევა—3600 კვ. მ.) სალხინოში—უფრო მეტს. სალომე დადიანის დროს არაფერი დაკლებია მას, პირიქით—იზრდებოდა.

მიურატები ყურძნის გამოზრდისა და ღვინოს დამზადების მოწინავე ტექნოლოგიას მისდევდნენ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდათ ბესარაბიის მეღვინეობის განთქმულ სადეგ სადგურთან. ქ. კიშინიოვიდან პრინცესა სალომეს ატყობინებდნენ თუ რა განხრის სპეციალისტების მომზადება სჭირდებოდათ მეღვინეობაში (იხ. დოკ. № 3283).

ვენახის მეურნეობებში და ღვინის წარმოებაში, როგორც ვთქვით, მიურატები დაქირავებულ შრომას იყენებდნენ, მაგრამ დაქირავებულთა ფულადი ანაზღაურება არასახარბიელო იყო (იხ. დოკ. № 3442, 3635). 1907 წლის საბუთში დასახელებული მომუშავე ჭკადუაშელი გლეხებიდან ყველაზე მეტი ჭითანავები და თორდიები იყვნენ.

**ვამანტი პაპავა,**
ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ. დ. მარშანია

რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ვალმოხდილი ადამიანი, სკპ წევრი 1946 წლიდან ვლადიმერ დარისპანის ძე მარშანია.

იგი დაიბადა 1922 წელს, სოფელ დარჩელში. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ახალგაზრდა იურისტი მუშაობდა სამართალდამცველ ორგანოებში. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ დარჩელში განმეხურში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. უკანასკნელ წლებში მუშაობდა სოფელ დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, ავტორიტეტი და სიყვარული დაუმსახურებია.

ხსოვნა ვალმოხდილისა დიდხანს იცოცხლებს ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## ი. მ. ხუბულავა

რაიონის სახელოვან პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა ჯიხაშკარის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი **ილია მათეს ძე ხუბულავა.**

იგი დაიბადა 1908 წელს ჯიხაშკარში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომლის დამთავრების შემდეგ იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას აზერბაიჯანის ერთ-ერთ რაიონში. წლების მანძილზე მუშაობდა ორჯონიკიძის საშუალო სკოლაში, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, ჯიხაშკარის საშუალო სკოლაში.

ილია ხუბულავას რაიონში იცნობდნენ როგორც საგნის უბადლო სპეციალისტს, მისი აღზრდილების დიდმა უმრავლესობამ არჩია დაუფლებოდა ტექნიკურ მეცნიერებას.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი, წარჩინებული მასწავლებელი, რომლის ნათელი ხსოვნა იცოცხლებს აღზრდილების, კოლეგების, თანასოფლელების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ცხონდია.**

## განცხადებები:

### მილოცვები, სურვილები

№4 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაბადებიდან 60 წლისთავსა და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავს ულოცავს ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გოგუცა დიანოზის ასულ ფარცვანიას და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

### ინვალიდთა საქმით დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

ამა წლის 5 ოქტომბერს ზუგდიდის საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს ღვთის შვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც აირჩია ორგანიზაციის საბჭო და ხელმძღვანელი ორგანოები.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ გორკის ქუჩა №23, ტელეფონი 2—67—97.

**ღვთის შვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ადმინისტრაცია.**

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ ნაღდ ანგარიშზე ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1991 წლისათვის მთავრდება 31 ოქტომბერს, ხოლო საუწყებო ხელმოწერა 20 ოქტომბერს.

იჩქარეთ, დროულად გააფორმეთ ხელმოწერა თქვენთვის სასურველ ჟურნალ-გაზეთებზე.

**ზუგდიდის „სოიუზპეჩატის" სააგენტო.**

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ქალაქ ზუგდიდში შეიქმნა სავაჭრო სახლი „კოლხეთი", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების გზით, რისთვისაც გაცვლითი ოპერაციების საშუალებით მოსახლეობისათვის შემოზიდოს დეფიციტური იმპორტული და სამამულო წარმოების როგორც სამრეწველო და სამეურნეო საქონელი, ისე სამშენებლო მასალები.

ამ მიზნით სავაჭრო სახლი „კოლხეთი" სოფელ კახათში შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საწარმოს მეშვეობით მოსახლეობიდან შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, მათ შორის თხილს 7 მანეთად. ამასთან ჩამბარებლებზე გაიცემა ჩაბარებული პროდუქციის ღირებულების 30 პროცენტამდე სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები მოთხოვნილების მიხედვით (ხე-ტყე, ცემენტი, რკინის ნაწარმი და სხვა).

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 2—25—30, 2—44—56, 2—22—39.

**მისამართი:** სოფელი კახათი, სავაჭრო სახლ „კოლხეთის" სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საწარმო.

**სავაჭრო სახლ „კოლხეთის" ადმინისტრაცია.**

### კოოპერატიული ავტოსკოლა „მესამე"

იღებს მსურველებს მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მოსამზადებლად. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლება მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს. ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები, მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო") და სამი ცალი ფოტოსურათი (3X4).

საბუთები მიიღება ყოველდღე, 10 საათიდან 16 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი №104.

**ავტოსკოლა „მესამე".**

### მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის დაფნის კომბინატის დირექცია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან კომბინატი იწყებს მოსახლეობიდან ხმელი დაფნის ფოთლის მიღებას.

დაფნის ფოთლის შესყიდვის თანხას ჩამბარებლები მიიღებენ კომბინატის სალაროში, ან მათ მიერ მოთხოვნილ შემნახველ სალაროებში.

დაფნის ჩაბარებისას აუცილებელია მოქალაქემ წარმოადგინოს პასპორტი. (მისამართი: ქ. ზუგდიდი, დგებუაძის ქ. №25, დაფნის კომბინატი).

**ზუგდიდის დაფნის კომბინატის დირექცია.**

---

დედა ნაზი, მამა კოტე, დები: ელისო, ასმათი, ძმები: ხვიჩა, პაატა ფარცვანიები, ბებია თამარა ახალაია, მამიდები: კატუშა, ნათიკო, ნურიკო, ცისანა, დეიდები ნინა კვიკვინია, ნათელა, ლენა ახალაიები, ანიკო ცხადაია, ბიძები: გუგუ, გენო, როლანდი ახალაიები, აპოლონ ოყუჯავა, ბიცოლები: ეთერი ლაგვილავა, ეთერი, ნანი ახალაიები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები იუწყებიან

**აზელი (გოჩა) კოტეს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ოქტომბერს. დაკრძალვა 16 ოქტომბერს სოფელ რუხში, გამოსვენება სხულუხიას ქ. 70.

---

შვილები: გლიური, იგორი, ვახტანგი, ვენგერი, რძლები: ციალა ქანთარია, სვეტა ხუბულავა, ეკა ქირია, შვილიშვილები: ირმა, ინგა, ირინე, თამაზი, რამაზი, დები: მანანა ყალიჩავა, ამალი, ლატუშა გულუეში, ძმა ზაურ გულუა, სიძეები, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

**ანია ნიკოლოზის ასული ყალიჩავა გულუა და ბროდი ჯიგის ძე გულუა.**

პანაშვიდი 13, 14, 15 ოქტომბერს, დაკრძალვა 16 ოქტომბერს. გამოსვენება 17 საათზე, სოხუმის 183-დან.

---

ძმები: კალისტრატე, ტერენტი ჩარკვიანები, ძმისშვილები: ბოჩია, თამაზი, ია, მანანა, მერი, ნატო ჩარკვიანები, რძლები: ნუნუ მაღრაძე, გული ქვარცხავა, ნუნუ სამუშია, დარეჯან ბერიძე, სიძეები: ვანია დიხამინჯია, თამაზ ცირამუა, თამაზ ქაშაყაშვილი, დეიდაშვილი ლულუ კუხალაშვილი და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ოლია ბეგლარის ასულ ჩარკვიანი-ქუხილავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ჭავჭავაძის 39.

---

ძმისშვილი გურამი, რძალი ლერი მოხვაში, შვილებით პაპუნა, ხათუნა და მარიკა იუწყებიან

**მიტროფანე მარკოზის ძე შელიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები: ანზორი პურცელია, გივი, გულადი, ბორისი, ვალია, დუქნა აკობიები, ძმა მიხეილ აბსავა. რძლები: მიმოზა, ნურა, როზა, ნადია, ნინა. ძმისშვილები: ჟორჟი, თალიკო, ლეილა, რევაზი, ციალა, მარსელინა აბსავები, დისშვილები: იროდი, დამიანე, ნათელა, ციცი, ეთერი კვარაცხელიები, შვილიშვილები დათო, ასმათი პურცელიები, ზურაბი, ზაზა, გელა, ლელა, ლალი აკობიები, ომარი, ომარი, ოლეგი, ოთარი ბეშიები, ლუარა, მურთაზი, ბადრი, ეკა პურცელიები. სიძეები: რეზო ბეშია, ვანჩქა პურცელია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**რაისა (პასიკო) აბსავა-აკობიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 13, 14 ოქტომბერს. დაკრძალვა 16 ოქტომბერს. გამოსვენება 26 კომისრების 54.

---

მეუღლე სევერიანე, დედა ბაბი, შვილი დონადი, ძმა ჯუმბერი ბებურია. რძლები: მარინე ჯლარკავა, იამზე ჭაფანძე, ნუნუ მაქაცარია, ნურა ჭაფანძე. შვილიშვილები: სოფიკო, ჯაბა, იაგო კორტავები. ძმისშვილები ლევანი, ლალო ბებურიები. მულები: შურა, მილკა, ზაირა, ნაზო, სოფიკო, დოდო ოჯახებით, მაზლები თამაზი, ველოდი კორტავები, დური აფაქიძე. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეთერ ამბაკოს ასულ ბებურია-კორტავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ოქტომბერს. დაკრძალვა 18 ოქტომბერს სოფ. ურთაში

---

შვილი ზაური, და ანტისა, დეიდა ქსენია, რძლები ნანული, ჟუჟა, ფერიკო, დისშვილები: ლუდმილა ხაზალია, გენო, კორნელი ჯლანჯლავები, როდიკო ლაგვილავა, შვილიშვილები ნატო, დარეჯანი, ბადური ჩარკვიანები, ბიძაშვილები: ლიდია, ნურია საბეკიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალენტინა თათაოზის ასულ საბეკია-ჩარკვიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ოქტომბერს. დაკრძალვა 18 ოქტომბერს ორსანტიაში.

---

მეუღლე აველი, შვილები: ლილი, ბოჩა, თორნიკე, და ზინა მარშანია, სიძეები: სევერიანე ქარჩავა, ომარი ლატარია, შვილიშვილები ლილი, რომანი, დისშვილები: ფაციკო, ნანა ქარჩავები, სიმამრი დიმიტრი, ცოლისძმები: შალიკო, კაკა, არჩილი, მურმანი ქირიები, ცოლისდები: ვარდო, ქორდიკო, მარგო. ქვისლები: არდევან შონია, მირიანე გეგეჭკორი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვლადიმერ დარისპანის ძე მარშანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ოქტომბერს. დაკრძალვა 16 ოქტომბერს დარჩელში.

---

ზუგდიდის რაიონის სანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან

**მაგდალინა რაჟდენის ასულ ნაჭყებია-ქოჩუას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

კახათის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**ხუტა აქვსენტის ასულ ქომეთიანი-მესხიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე აქვსენტი თოლორდავა, შვილი გენადი, რძლები: მზევინარ ესართია, თამარა დარასელია, აგრაფინა ხვიტია, ქენია ჯანაშია, შვილიშვილი ავთანდილი, დისშვილი გურამი ბებია, ძმისშვილები: დოდო, ნუნუ, ჯემალი, ჩიტო, თამაზი, დენიზა კვირტიები, მზახლები გვანჯი და გული ესართიები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან

**ნინა ივლონის ასულ კვირტია-თოლორდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ოქტომბერს. დაკრძალვა 16 ოქტომბერს 17 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, გორკის 38-დან.

---

ზუგდიდის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თორნიკე მარშანიას მამის

**ვლადიმერ მარშანიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბიძაშვილები: აპოლონი, გოგი, მირიანე, ვანო, კაკო ქვარაიები ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილის

**მაგდა რაჟდენის ასულ ნაჭყებია-ქოჩუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე კუკუშა, შვილები: სოსო, ელდარი, შვილიშვილები: ტატიანა, თამარა, ქრისტინა, დები: ეთერი, ციალა, ძმები: რადიონი, ალფეზი, რძლები: ტანია კარალკოვა, ირა შამათავა, ლულიკო ქვარაია, ბელისა დარასელია, გული პაპავა. სიძე კაკო ქადარია, ცოლისძმა შოთა იოსავა, დისშვილები: ალგორი, იგორი ქადარიები, ჯემალი, ბედიშა ბენდელიანები, ძმისშვილები: ნუკრი, ავთანდილი, ლაშა ცხადაიები, ცოლისძმისშვილები: ლეილა, გია, გოგი იოსავები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დანიელ ნიკოლოზის ძე ცხადაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ოქტომბერს, დაკრძალვა 16 ოქტომბერს 6 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, საბჭოს ქ. № 15.

---

ქალაქის სანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან

**მაგდალინა რაჟდენის ასულ ნაჭყებია-ქოჩუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ავღანეთის ზუგდიდის ვეტერანთა საბჭო იუწყება

**გივი ჯუმბერის ძე ბულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №1522